ახალი ხარაგაული

342 (1) 16 იანვარი, 2017 წ

ცვშოხვთ „ვლიოლთ“ ხარაგაულის ქუჩებში

7 იანვარს ხარაგაულში, ტრადიციისამებრ, საშობაო „ალილო“ გაიმართა. „ალილოს“ მსვლელობა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო. მსვლელობას ეკლესიის წინამძღვარი **მამა ანტონი (სულთანიშვილი)** უძღვებოდა. ქრისტეშობის მახარობლებმა ხარაგაულის მთავარი ქუჩა საზეიმო მსვლელობით ჩაიარეს. მამა ანტონმა მსვლელობის დროს მრევლი დალოცა და ხარაგაულის მოსახლეობას შობა-ახალი წელი მიულოცა.

„ალილოში“ მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხარაგაულის ეკლესიის მრევლმა, სტიქაროსნებმა და ბავშვებმა. გზადაგზა, ურემზე, შემოწირული ტკბილეული და სხვადასხვა სახის სურსათ-სანოვაგე დაგროვდა. შემოწირულობა ხარაგაულში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაურიგდათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის 50 სასაჩუქრე პაკეტი შეიძინა.

შობის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ უძღოდა საზეიმო საშობაო ლიტურგია, რომელიც ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიაში გაიმართა.

ბოლო წლებში, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა - შობის დადგომას მორწმუნე მართლმადიდებლები სარკმელში ანთებული სანთლით ეგებებიან. ღამის ხარაგაულს ამშვენებდა თითოეული ოჯახის სარკმელში ანთებული მოციმციმე სანთელი, რაც სიმბოლურად, უფლისთვის კარის გაღებას ნიშნავს.

მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით საშობაო „ალილო“, წელს ხარაგაულში მეათედ გაიმართა.

იმედია, ღვთის მადლით, მომავალ წელს პატარა მგალობლების გამოჩენა კიდევ უფრო ბევრი ადამიანის გულში გააღვიძებს და გააძლიერებს უფლის იმედსა და მაცხოვრის სიყვარულს.

ნიკოლოზ თოფურიძე სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს სტუმროობდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს საახალწლო საჩუქრები გადაეცათ. კუთვნილი ნობათი ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ** და გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა, **ალექსანდრე ტაბატაძემ**, პირადად გადასცეს. ნიკოლოზ თოფურიძემ მრავალშვილიან ოჯახებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და მათ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უსურვა.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა სოფელ ლაშეში მცხოვრები, ხანძრით დაზარალებული ჟორჟოლაძეების ოჯახი მოინახულა და საახალწლო პაკეტი გადასცა. ხანძრის შედეგად ჟორჟოლაძეების საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. ოჯახს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარებაც (2000 ლარი) გაეწია.

საახალწლო საჩუქრები მიიღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებმა, რომელიც მათ ვეტერანთა დეპარტამენტმა გამოუგზავნა.

ადამიანთა გახარება მისი სულიერი მოთხოვნილებაა

ადამიანთა გახარება, მათთვის ხელის სასიკეთოდ გაწვდენა, საკუთარი სულიდან რომ მომდინარეობს, ესაა ღვთიური მადლი, რომლითაც უფალი თავის რჩეულთ აჯილდოებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალბატონი **მანანა ბარბაქაძე**, სწორედ ამგვარ რჩეულთა რიგებშია. შეჭირვებულთათვის (და არა მარტო შეჭირვებულთათვის) ხელის შეშველება მისი ცხოვრების წესია, მისი საკუთარი ზნეობრივი კანონიდან მომდინარეობს.

მისთვის ჩვეული ამგვარი შინაგანი მოთხოვნილება იყო, რომ ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ადამიანები ერთხელ კიდევ გაეხარებინა.

ქალბატონმა მანანამ უბისის ეკლესიის წინამძღვარ **მამა მაკართან** ერთად საშობაოდ საკუთარი ფინანსებიდან 50 ოჯახს გადასცა საჩუქარი, რამაც თითოეულში დიდი სიხარულისა და პატივისცემის გრძნობა გამოიწვია კეთილი ქალბატონის მიმართ.

P.S ღმერთმა დალოცოს და გააძლიეროს ყველა ის ადამიანი, რომელთაც მოყვასის სიყვარულით გაჯერებული ასეთი გული აქვს.

მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, ბიურო მუშაობას ოფიციალურად შეუღგა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, **კობა ლურსმანაშვილის**, ბიურო მუშაობას ოფიციალურად შეუდგა. ბიურო ყოველდღე 10-საათიდან 18 საათამდე იმუშავებს და მოქალაქეებს ორშაბათსა და სამშაბათს მიიღებს. დეპუტატის ბიურო ჯერ მხოლოდ ხარაგაულში ამოქმედდა და იგი სამი თანამშრომლით დაკომპლექტდა. ბიუროს ხელმძღვანელად **ოთარ ლურსმანაშვილი** დაინიშნა. ბატონ ოთართან ერთად ბიუროში ასევე **ჟანა ნემსაძე** და **კოტე პეტავა** იმუშავებენ.

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს ბიუროს ოფისი ექნება ბაღდათშიც, ასევე, ერთი წარმომადგენელი ეყოლება ზესტაფონში, რომელიც ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატის, **შალვა კიკნაველიძის**, ოფისში იქნება წარმოდგენილი. **კობა ლურსმანაშვილის** ინფორმაციით, ბაღდათში ბიუროს თანამშრომლები კონკურსის წესით შეირჩევიან.

ჩვენს შეკითხვაზე, რა ფორმით აპირებს ბიურო მუშაობას, **ოთარ ლურსმანაშვილი** გვპასუხობს, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო ხარაგაულში აქტიურად იმუშავებს და პრიორიტეტი მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემების მოგვარება იქნება.

,,სისტემატურად შევხვდებით სოფლის მოსახლეობას, მოვისმენთ მათ პრობლემებს, რა სურთ, რისი შეცვლა უნდათ. მათივე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვუზრუნველყოფთ დეპუტატის, **კობა ლურსმანაშვილის**, შეხვედრებს მოქალაქეებთან,“ - აღნიშნა ბიუროს ხელმძღვანელმა.

შეგახსენებთ, რომ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მისამართია: სოლომონ მეფის N 61ა.

ტელ: 0433 22-00-41;
577 28 48 41 –
ოთარ ლურსმანაშვილი;
595 90 27 20 –
ჟანა ნემსაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ომის ვეტერანებს საახალწლო საჩუქრები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, **არჩილ მაღრაძე**, წინასაახალწლოდ ომის ვეტერანებს სტუმრობდა. ბატონმა არჩილმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს შობა-ახალი წელი მიულოცა და ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი საახალწლო ტკბილეული გადასცა.

,,ეს ადამიანები იბრძოდნენ საკუთარი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის დასაცავად, ამიტომ თითოეული ჩვენგანის ვალია, დავაფასოთ და პატივი ვცეთ. მინდა, მათ კიდევ ერთხელ მივულოცო შობა-ახალი წელი, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვო,“-დასძინა ბატონმა არჩილმა.

გამგებლის პირველი მოადგილის თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ომის ვეტერანებმა უკეთეს პირობებში იცხოვრონ და მათი სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

შეგახსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეებს ყოველთვიურად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება ეწევათ.

ამჟამად ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 14 ომის ვეტერანია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველებს საჩუქრად გლუკომეტრი და წნევის საზომი აპარატი გადასცეს

ხარაგაულელმა **გიგა ლომსაძემ** ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქველმოქმედო აქცია განახორციელა. აქციის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 120 პიროვნებას საჩუქრად სისხლში შაქრის საზომი (გლუკომეტრი) აპარატი გადაეცათ. საქველმოქმედო აქცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით განხორციელდა და აპარატები იმ მოქალაქეებისთვის განისაზღვრა, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ და შეძენას ვერ ახერხებდნენ. გარდა ამისა, წნევის აპარატი მიიღო საჩუქრად რამდენიმე სოციალურად დაუცველმა ოჯახმა.

საქველმოქმედო აქციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, პირველი მოადგილე **არჩილ მაღრაძე** და გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, **ნანა კიკნაძე**, შეუერთდნენ. მათ აპარატები მოსახლეობას პირადად გადასცეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მადლობა გადაუხადეს გიგა ლომსაძეს და მის ოჯახს ხარაგაულში საქველმოქმედო აქციის განხორციელებისა და მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის.

,,ასეთი კეთილი ადამიანები ნამდვილად ღვთის საქმეს ემსახურებიან. ვუსურვებ, უფალმა კიდევ გაუძლიეროს მათ ასეთი უკეთილშობილესი ქმედების უნარი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა კი მაქსიმუმს გააკეთებს იმისათვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალურ პაკეტზე, რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდეს წვდომა და ჩვენმა მოქალაქეებმა უკეთეს პირობებში იცხოვრონ.“ - დასძინა ნიკოლოზ თოფურიძემ.

გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, მოხარულია იმ ფაქტით, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ამ სიკეთით ისარგებლეს. ,,ნამდვილად მისასალმებელია, როდესაც უანგაროდ ასეთი მადლიანი საქმე კეთდება. ეს ერთგვარი შეღავათია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აპარატების შეძენას ვერ ახერხებდნენ. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას. მეამაყება, რომ ჩვენს რაიონში ასეთი ქველმოქმედი ადამიანები არსებობენ“, – განაცხადა **არჩილ მაღრაძემ**.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

საკადრო ცვლილებები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, ბრძანების თანახმად, გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსად **თემურ თაბუკაშვილი** დაინიშნა. იგი ამავე სამსახურში წამყვან სპეციალისტად მუშაობდა. რაც შეეხება არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ყოფილ უფროსს, **ბესარიონ ჭიპაშვილს**, მან ამავე სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობა დაიკავა.

თემურ თაბუკაშვილს დამთავრებული აქვს ,,აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია“ არქიტექტორის სპეციალობით. ამავე აკადემიაში მიიღო მაგისტრის განათლება სამოქალაქო არქიტექტურის მიმართულებით.

გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი შეიცვალა

გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს. 3 იანვრიდან აღნიშნულ სამსახურს **ჯაბა ბერაძე** ხელმძღვანელობს. იგი ამ დრომდე „ლიბერთი ბანკის“ ხარაგაულის ფილიალის უფროსი მოლარე-ოპერატორი გახლდათ.

ჯაბა ბერაძე 1989 წლის 18 ოქტომბერს დაიბადა ხარაგაულში. დაამთავრა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების (საბანკო საქმე) ფაკულტეტზე. 2011-2013 წწ მიიღო მაგისტრის განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განხრით. ამჟამად არის დოქტორანტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების (შიდა აუდიტი და აღრიცხა) მიმართულებით.

შეგახსენებთ, რომ **არჩილ ლურსმანაშვილი**, რომელიც ამ დრომდე აღნიშნულ სამსახურს ხელმძღვანელობდა, ა(ა) იპ ,,ხარაგაულდასუფთავებაში“ პროგრამების მართვის მენეჯერად განაგრძობს მუშაობას.

გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება შეიქმნა

გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება დაემატა. განყოფილების უფროსად **თეა ბერიძე** დაინიშნა, რომელიც ამ დრომდე, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა.

გრიგოლ ჭიპაშვილი ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსად გადავიდა

საკადრო ცვლილებები განხორციელდა ასევე რამდენიმე განყოფილებაში. წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსად **დავით თხელიძე** დაინიშნა, ხოლო **გრიგოლ ჭიპაშვილი**, რომელიც ამ დრომდე აღნიშნულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსად გადავიდა.

გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, ინფორმაციით, ახალი სახეებია ასევე რამდენიმე სამსახურში. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში მთავარ სპეციალისტად ზედამხედველობის საკითხებში - აფრასიონ ლურსმანაშვილი, ხოლო შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში უფროს სპეციალისტად - **გიორგი ჭყოიძე.**

6 მილიონ - ნახევარი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ხარაგაულში

2017 წელს ხარაგაულში პრიორიტეტული სოფლის გზების რეაბილიტაცია იქნება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხარაგაულში 2017 წელს, სავარაუდოდ, 6 მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, ინფორმაციით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017 წელს ხარაგაულში დასაფინანსებელი პროექტები უკვე გაგზავნილია.

2017 წლისათვის რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაა:

1.სოფელ ნადაბურის საბავშვო ბაღისათვის შენობის რეაბილიტაცია; თანხა - 150 000 ლარი.

2. საღანძილის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ.ვანი 3 760მ, სოფ. ჩხერი 1000მ,) გზების რეაბილიტაცია, ჯამში მობეტონდება 4.8კმ გზა; თანხა- 874 000 ლარი;

3. წყალაფორეთის ა/ერთეულის სოფლებში (სოფ:ხონი 400მ, სოფ:ლახუნდარა 1500მ) გზების რეაბილიტაცია, ჯამში 1 900მ გზა; თანხა - 285 000 ლარი;

4. ხევის ა/ერთეულის სოფელ წაქვაში გზის რეაბილიტაცია 1,5 კმ; თანხა - 276 790 ლარი.

5. ბორითის ა/ერთეულის სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია -2 კმ; თანხა - 342 000 ლარი.

6. ბაზალეთის ა/ერთეულის სოფელ ღარიხევში გზის რეაბილიტაცია 300 მ; თანხა - 55 000 ლარი;

7. სოფელ ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 2 500 მ; თანხა 466 800 ლარი.

8. მოლითის ა/ერთეულის სოფელ ქვების ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 2 კმ; თანხა - 300 000 ლარი.

9. დაბა ხარაგაულის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია; თანხა - 300 000 ლარი;

10. მოლითის ა/ერთეულის სოფ. ნებოძირში გზის რეაბილიტაცია 800მ; თანხა 159 970 ლარი

აღსანიშნავია, რომ რეგიონული განვითარების ფონდში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაგზავნილი პროექტების ნუსხას, რომელიც 2-მილიონ ნახევარ ლარზე იყო გაწერილი, რეგიონული განვითარების ფონდმა მუნიციპალიტეტს დამატებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების პროექტების დამატება მოსთხოვა, რის შემდეგაც ჩამონათვალს ხარაგაულის პარკის რეაბილიტაცია და სოფელ ქვების ცენტრალური, 2 კმ-იანი, გზის მოასფალტება დაემატა.

რაც შეეხება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდს, აქ ხარაგაულიდან დასაფინანსებლად 6 პროექტია გაგზავნილი.

ეს პროექტებია:

1.ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა; თანხა - 590 749 ლარი;

2.სოფელ ლელვნის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 3 476 მ; თანხა - 813 130 ლარი;

3.დაბა ხარაგაულის ქუჩების რეაბილიტაცია 2 900მ; თანხა - 435 000ლარი;

4.ლაშის ა/ერთეულში გზების რეაბილიტაცია, ჯამში - 2,5კმ; თანხა - 375 000 ლარი

5.ზვარის ა/ერთეულის სოფ. ჩრდილის გზის რეაბილიტაცია - 2 400მ; თანხა - 360 000 ლარი;

6.მარელისი-ლელვნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 4 კმ; თანხა - 600 000 ლარი.

ქუთაისში საქველმოქმედო აქციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, დაესწრო

იმერეთის სამხარეო რწმუნებულმა, გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ**, იმერეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უმასპინძლა. საქველმოქმედო აქციაში ხარაგაულიც ჩაერთო და შშმ ბავშვებთან შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, და გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნანა კიკნაძე, დაესწრნენ. გუბერნატორის ადმინისტრაციისა და ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის ინიციატივითა და მხარდაჭერით, თეატრში სპეციალურად ამ დღისთვის ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „ჭინჭრაქა“.

„განსაკუთრებულად ემოციური დღეა და მადლობა ამისთვის იმერეთის გუბერნიას. როგორც ხედავთ, ბავშვებს ძალიან უხარიათ, კარგ განწყობაზე არიან. მათთვის დღეს აქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, ამით ისინი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამენ წინ, რათა უფრო მეტად შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია. ბევრი ასეთი დღეები უნდა ჰქონდეთ ამ ბავშვებს“, — ასე შეაფასა იმ დღევანდელი საღამო ნიკოლოზ თოფურიძემ.

იმერეთის 11 მუნიციპალიტეტიდან მოწვეულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე 200-მდე ბავშვს იმერეთის გუბერნატორმა ახალი წელი მიულოცა, მათ გვერდით დგომა აღუთქვა და დაჰპირდა, რომ კიდევ არაერთხელ უმასპინძლებს ქუთაისში.

სპექტაკლის ჩვენებას ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გუბერნატორის მოადგილეები, პაატა ნადირაძე, გიორგი ჭილვარია და იოსებ ხახალეიშვილი ესწრებოდნენ.

აზიის განვითარების ბანკის დახმარებით ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის საავტომობილო გზა აშენდება

აზიის განვითარების ბანკის დახმარებით ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის საავტომობილო გზა აშენდება. ამის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგერდზეა განთავსებული. როგორც დაანონსებულია რეაბილიტაცია ჩაუტარდება 50 კმ სიგრძის საავტომობილო გზას.პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდება ასევე ძირულა-ხარაგაული-ჩუმათელეთის გზასთან მისასვლელი გზები, რომლებიც აღნიშნულ გზასთან დააკავშირებენ სარკინიგზო სადგურებსა და ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს. მოსამზადებელი სამუშაოები აღნიშნული მიმართულებით უკვე მიმდინარეობს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი მანქანა დაემატა

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი მანქანა დაემატა. ახალი ტექნიკა მუნიციპალიტეტს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტის „მყარი ნარჩენების შეგროვების“ ფარგლებში გადმოსცა.

კიდევ ერთი ახალი ნაგავმზიდი და ასი ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს უახლოეს დღეებში გადმოეცემა.

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის სულ 144 ნაგავმზიდი მანქანა და 7 209 ნაგავშემკრები კონტეინერი შეიძინეს.

პროექტის ჯამური ღირებულება 12 მლნ ევროა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულის სამი სოფლის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი დაინიშნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის, **არჩილ მაღრაძის**, ინფორმაციით, ხარაგაულის სამი სოფლის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტის დამატება მოხდა. მისივე თქმით, ტრანსპორტი დაინიშნა ხარაგაული-ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით, რომელიც მოსახლეობას ხუთშაბათობით მოემსახურება. სამარშრუტო ტაქსი რკინიგზის სადგურიდან 14:00 სთ-ზე გავა, ხოლო ქროლი-ბაზალეთის საზღვრიდან -14:30 სთ-ზე გამოვა. ზემოთ აღნიშნული ტრანსპორტი, ხარაგაულის საავადმყოფოს მიმართულებითაც იმოძრავებს.

აღსანიშნავია, რომ ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეებს უფასოდ მოემსახურება. ყველა ხარჯს ამავე თემის მაჟორიტარი დეპუტატი, **ვარლამ ჭიპაშვილი,** გაიღებს.

კიდევ ერთი მიმართულება დაემატა ხარაგაული-თეთრაწყაროს მარშრუტს და იგი ყოველდღე, 18:00 საათზე, კიცხის საზოგადოებრივ ცენტრამდე მივა. მგზავრობის ღირებულება 50 თეთრი იქნება. რაც შეეხება ხარაგაული-თეთრაწყაროს მარშრუტს მგზავრობის ღირებულება ხარაგაულის რკინიგზის სადგურიდან სოფელ თეთრაწყარომდე 30 თეთრი, რკინიგზის სადგურიდან ხარაგაულის საავადმყოფომდე - 20 თეთრი, ხოლო სოფელ თეთრაწყაროდან, ხარაგაულის საავადმყოფომდე 10 თეთრი იქნება.

მიმდინარე წელს მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა გაგრძელდა ასევე, სოფელ ფარცხნალის მიმართულებით. სამარშრუტო ტაქსი ყოველ სამშაბათს რკინიგზის სადგურიდან სოფელი ფარცხნალის მიმართულებით (მგზავრობის ღირებულება 30 თეთრი) 14:30 სთ-ზე გავა, ხოლო სოფელ ფარცხნალიდან -15:00 სთ-ზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მშვიდობიან და უსაფრთხო მგზავრობას გისურვებთ!

ეკა შავიძე

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორად მამუკა ჭიპაშვილი დაინიშნა

4 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, მოადგილე **არჩილ მაღრაძესთან** ერთად, ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალი დირექტორი წარადგინა. ამიერიდან მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს **მამუკა ჭიპაშვილი** უხელმძღვანელებს, რომელიც ამ დრომდე გამგებლის მრჩეველი გახლდათ ტურიზმის საკითხებში. ბატონ მამუკას ა(ა)იპ-ში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. მას ა(ა)იპ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის თანამდებობა ეკავა. იგი ასევე გახლდათ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და გასულ წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. რაც შეეხება, „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ყოფილ დირექტორს, ირმა სებისკვერაძეს, ის საქმიანობას ამავე ა(ა)იპ-ში განაგრძობს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, წარმატებები უსურვა ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ახალ ხელმძღვანელს და მომავალში საერთო საქმეების კეთებაში გვერდით დგომა აღუთქვა.

მამუკა ჭიპაშვილი ამბობს, რომ სამსახურში გარკვეული სიახლეების განხორციელებას გეგმავს, თუმცა კონკრეტულ დეტალებზე ჯერჯერობით არ საუბრობს. იგი ყველა საბავშო ბაღში სტუმრობასა და მათი პრობლემების ადგილზე გაცნობას აპირებს.

როგორც ახლად დანიშნული დირექტორი განმარტავს, გასულ წელთან შედარებით ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტი შემცირდა, რის გამოც თანამშრომლებს ხელფასები შეუმცირდა, თუმცა ყველა კადრის შენარჩუნება მოხდა.

მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს წიფასა და ღორეშაში ახალი საბავშვო ბაღების გახსნა იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ საბავშო ბაღებში სასწავლო პროცესი განახლდა და გაერთიანებამ სრული მზადყოფნით დაიწყო მიმდინარე სასწავლო წელი. ბავშვთა საკვები პროდუქტების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერი უკვე დასრულებულია და ხელშეკრულებები გაფორმებული.

ეკა შავიძე

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში დადებითად შეფასდა

4 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, კახაბერ გოლუბიანმა, სამსახურის ანგარიში წარადგინა. საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ ადმინისტრაციული სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასა. დეპუტატებმა, ასევე, დადებითად შეაფასეს გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში, ხოლო გამგეობის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების ინვენტარიზაციის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გაწეული მუშაობა ცნობად მიიღეს.

სხდომაზე დეპუტატებმა ,,საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის“ დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საკრებულოს წევრებმა სოლომონ მეფის ქუჩაზე 67 კვ.მ. და სოლომონ მეფის ქუჩის №2 შესახვევში არსებული 900 კვ.მ. მიწის ფართობის პრივატიზებაზე თანხმობის მიცემაზე უარი იმ მიზეზით განაცხადეს, რომ, შესაძლოა, ამ ტერიტორიაზე მომავალში სარკინიგზო მაგისტრალის მშენობლობა განხორციელდეს. აღნიშნულ საკითხს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია შემდგომ სხდომაზე განიხილავს.

საკრებულოს იურიდიულმა კომისიამ ახალი ფრაქციის „დემოკრატების“ შექმნასთან დაკავშირებით უარყოფითი დასკვნა გასცა

5 იანვარს საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა ახალი ფრაქციის „დემოკრატების“ შექმნის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი მათ კომისიის თავმჯდომარემ, **მიხეილ გელაშვილმა**, გააცნო და განმარტა, რომ საკრებულოს წევრებმა: რომან შერგელაშვილმა, კობა გოგსაძემ და გიორგი ლაცაბიძემ საკრებულოს აპარატს,ახალი ფრაქციის შექმნის მიზნით, განცხდებით მიმართეს. მისივე თქმით, რომან შერგელაშვილი და კობა გოგსაძე არიან ერთი საარჩევნო ბლოკის, კახა კუკავა - ფიქრია ჩიხლაძის, მიერ წარდგენილი უპარტიო დეპუტატები, ხოლო გიორგი ლაცაბიძე „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიან საქართველოს“ წარმოადგენს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ვარლამ ჭიპაშვილი**, ფრაქციის შექმნას უკანონოდ მიიჩნევს და საკუთარი აზრის გასამყარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლს იშველიებს. მისივე განმარტებით, კოდექსში მკაფიოდ წერია, რომ საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ საკრებულოს უპარტიო წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. აქედან გამომდინარე, ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ ახალი ფრაქცია „დემოკრატების“ შექმნა კანონშეუსაბამოა.

განსხვავებული პოზიცია დაფიქსირა, დეპუტატმა გელა გოლუბიანმა. მისი განცხადებით, საკრებულოს დეპუტატებს, რომლებსაც აქვთ საერთო პოლიტიკური ინტერესები, უფლება აქვთ შექმნან ფრაქცია.

საბოლოოდ, კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ახალი ფრაქციის „დემოკრატების“ შექმნის თაობაზე უარყოფითი დასკვნა გაიცა. სხდომას კომისიის 8 წევრი ესწრებოდა. აქედან უარყოფითი დასკვნის მომხრე ექვსი დეპუტატი გახლდათ.

თამარ მაღრაძე

„მაშ, სასიმღეროდ გახსენით ბაგე...“

დადგა ახალი წელი ახალი იმედებით, ახალი ოცნებებით, საახალწლო ზეიმი გამორჩეულია მუდამ. ყველას ეუფლება უჩვეულო სიხარული, მაგრამ პატარების საზეიმო განწყობილებას არაფერი შეედრება...

საახალწლო დღესასწაულთან შესახვედრად განსაკუთრებული სამზადისი მიმდინარეობდა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში (დირექტორი **მარინე ხვედელიძე**). დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა წარმოადგინეს ძალზე დახვენილი და საინტერესო სანახაობა. ნიჭიერებით განსაზღვრული ფანტაზიის წყალობით სკოლის ფოიეში ძალზე მაღალი გემოვნებით იყო შექმნილი ზამთრის პეიზაჟი, რომლის არქიტექტონიკაც ეკუთვნოდა დირექტორის მოადგილეს სასწავლო

მუშაობის დარგში ქალბატონ **ნანა კვინიკაძეს**. მისი მარჯვე ხელებით „გუზგუზებდა“ ბუხარი, თავს იწონებდა მასზე შემოდგმული მაპაპური ნავთის ლამფა. „თოვლის პაპას“ კი ნუღა იკითხავთ, ეს იყო ხელოვნების ნამდვილი ქმნილება პაპა დინჯად „იჯდა“ თავის „კვარცხლბეკზე“ და გიჩნდებოდა სურვილი, რომ ჩახუტებოდი, მიეალერსებოდი...

სკოლის დირექტორის, ქალბატონ მარინე ხვედელიძის, მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით გამოიკვეთა ის ჭეშმარიტი მიზანი, რასაც სკოლა და საგანმანათლებლო სისტემა ახორციელებს მომავალი თაობის სწორი აღზრდის თვალსაზრისით მათი ბედნიერი აწმყოსათვის.

თითოეულმა კლასმა საკუთარი პროგრამა წარმოადგინა. მოსწავლეთა ზეპირმეტყველების მანერა თუ მუსიკალური ნომერი ნათლად მეტყველებდა, თუ რა რუდუნებით უმუშავიათ მასწავლებლებს თითოეულ მოსწავლესთან.

მარტოოდენ ქართულს როდი დასჯერდნენ თვალციმციმა გოგონები. მეოთხეკლასელებმა ინგლისურად წარმოადგინეს შარლ პეროს „წითელქუდა“.

„მაშ, სასიმღეროდ გახსენით ბაგე,
გაშალეთ ხელი, გამართეთ წელი...
და აღტაცებით შევძახოთ ერთურთს:
მოგვილოცნია ახალი წელი!“

-ამბობდა ნანა მასწავლებელი, იმეორებდნენ მისი მესამეკლასელები, რომელსაც ერწყმოდა მშობლებისა და დამსწრე საზოგადოების დიდი ოვაცია, რწმენა იმისა, რომ 2017 იქნება წარმატების, ბედნიერებისა და საქართველოს უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვის წელი.

აგსრულებოდეთ ყველა ნატვრა და ოცნება, ჩვენო მოსწავლეებო, ამაგდარო პედაგოგებო, მზრუნველო მშობლებო!

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა სესხის გადახდას 2019 წლიდან დაიწყებს

10 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საკითხი დეპუტატებს ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **ჯაბა ბერაძემ**, წარუდგინა. მისივე ინფორმაციით, სესხთან დაკავშირებით ცვლილება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთს შეეხო. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 1,5 %-ის ნაცვლად ამ ეტაპზე 0,5%-ს შეადგენს.

სესხის ხანგრძლივობაა 10 წელი და მის გადახდას გამგეობა 2019 წლიდან დაიწყებს.

დეპუტატების უმრავლესობამ წარმოდგენილ ცვლილებას მხარი დაუჭირა.

სასკოლო ოლიმპიადის მეორე ტური მე-3 საჯარო სკოლაში ჩატარდა

ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში სასკოლო ოლიმპიადის მეორე ტური ჩატარდა. მეორე ტურში ხარაგაულის საჯარო სკოლების ის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც პირველი ტური წარმატებით გადალახეს. როგორც მე-3 საჯარო სკოლის დირექტორი, **მარინე ხვედელიძე,** ჩვენთან საუბარში აცხადებს, გასულ წლებთან შედარებით მეორე ტურში გადასულ მოსწავლეთა რიცხვი ძალიან მცირეა.

შეგახსენებთ, რომ 2016-2017 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური ელექტრონული ფორმატით ჩატარდა და მასში მონაწილეობის უფლება X-XII კლასების მოსწავლეებს ჰქონდათ.

სასკოლო ოლიმპიადის ფინალური ტური თბილისში გაიმართება და წარჩინებული მოსწავლეები გამოვლინდებიან.

თამარ მაღრაძე

დაბის N2 საჯარო სკოლაში მასწავლებლებისათვის ტრენინგი ტარდება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ ინიცირებული, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, მასწავლებლებისთვის განკუთვნილი, „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების“ გრძელვადიანი ხუთკრედიტიანი ზოგადპროფესიული უნარების კურსის პირველი მოდულის - „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“ - საპილოტე ტრენინგები დაიწყო. აღნიშნულ ტრენინგში აქტიურად ჩაერთნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგები. ტრენინგები დაბის N2 საჯარო სკოლაში ტარდება და იგი ხუთ საგანს მოიცავს (ფიზიკა, ბიოლოგია, უცხო ენა, გეოგრაფია და მათემატიკა).

როგორც ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა ტრენერმა, დაბის N3 საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგმა, **აზა ბანცაძემ**, განაცხადა, აღნიშნული პროექტის მთავარი მიზანი სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნაა. მისვე თქმით,პედაგოგები მოისმენენ, თუ რა სიახლეები და აქტივობები უნდა გამოიყენონ, რათა მოსწავლეებს სწავლის მიმართ მოტივაცია გაეზარდოთ.

შეგახსენებთ, რომ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში პროექტი „ჩვენი მარჯვე ხელებით” განხორციელდა

ხარაგაულის კინოთეატრის ფოიეში პროექტი „ჩვენი მარჯვე ხელებით“ განხორციელდა, რომელსაც ორგანიზებას გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (უფროსი **ნანა კიკნაძე**) და ა/ო „ნაბიჯი ხარაგაულს“ (დირექტორი რუსუდან გურგენიძე) უწევდნენ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის, ნანა კიკნაძის, ინფორმაციით, პროექტში 100 სოციალურად დაუცველი და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია ჩართული და ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან ხუთი მოსწავლეა წარმოდგენილი. პატარები, რომლებიც ნაძვის ხის სათამაშოებსა და საახალწლო აქესესუარებს ამზადებენ, ოთხ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი და აქციაც, შესაბამისად, ოთხ ეტაპად გაიმართა.

„ბავშვების დასახმარებლად რამდენიმე პედაგოგი გვყავს, მაგრამ აქ არიან უფროსკლასელებიც, რომლებმაც გამოთქვეს პატარებისათვის სათამაშოების დამზადებაში დახმარების სურვილი. ჩვენი პატარა სტუმრები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან და მსგავსი აქტივობები, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას“, - დასძინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა.

პროექტის მიმდინარეობისას გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური პატარებს ლანჩით გაუმასპინძლდა.

თამარ მაღრაძე

სკოლებში საგაზაფხულო არდადეგები აღდგა

განათლების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ, 2017 წლისთვის საჯარო სკოლებში გაზაფხულის, ზაფხულისა და ზამთრის არდადეგების, ასევე სასწავლო წლის დაწყების თარიღები განსაზღვრა.

სასწავლო წლის დაწყების თარიღად 15 სექტემბერი განისაზღვრა, ხოლო დასრულების თარიღად – 15 ივნისი.

იმ შემთხვევაში, თუ 15 სექტემბერი დაემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, სასწავლო წელი დაიწყება 15 სექტემბრის შემდგომ პირველ სამუშაო დღეს, ხოლო თუ 15 ივნისი ემთხვევა დასვენების დღეს, სასწავლო წლის დასრულების თარიღად განისაზღვრება 15 ივნისის წინა პარასკევი.

პირველი კლასის მოსწავლეებისათვის სასწავლო წელი 27 მაისს დასრულდება, ხოლო დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის - 20 მაისს.

არდადეგების განრიგი ასე გადანაწილდა:

ზამთრის არდადეგები - 30 დეკემბერიდან 15 იანვრამდე;

საგაზაფხულო არდადეგები - 8 მარტიდან 15 მარტამდე;

ზაფხულის არდადეგები - 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე.

,,ტურიზმის ცენტრის" ინიციატივით საქველმოქმედო აქცია მოეწყო

ა(ა) იპ ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ ინიციატივით საქველმოქმედო აქცია მოეწყო. აქციის ფარგლებში კალენდრები დაიბეჭდა და გაიყიდა. შემოსული თანხით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თერთმეტ მარტოხელა მოხუცს საშობაოდ სხვადასხვა სახის პროდუქტი (ტკბილეული, ხილი) გადაეცათ. "ტურიზმის ცენტრის" თანამშრომლები მადლიერებას გამოხატავენ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც კეთილი საქმის განხორციელებაში ჩაერთო და მათ გვერდით დაუდგა.

სამძიმარი

ჩვენი ოჯახით ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ ბატონ ამირან ოქრომჭედლიძეს, მის ოჯახსა და საახლობლოს საყვარელი მეუღლის, დედისა და უსათნოესი ბებიის **ქალბატონ**

ლალი კვირიკაშვილი - ოქრომჭედლიძის

გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ლალის წასვლით უკურნებელმა ტკივილმა დაისადგურა ჩვენს გულებში. ის იყო სახე ჭეშმარიტი ქართველი ქალისა, შემკული ღვთიური თვისებებით.

უფლის მადლმა სიმშვიდე მიანიჭოს მის წმინდა სულს და გააძლიეროს მისი ოჯახი.

ლალი ალექსიძე,
იუზა კელენჯერიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12